# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 134

დამატების № 24

კვირა, 9 ნოემბერი 1914 წ.




პოდპორ. ივანე ჩიქოვანი (მოკლულია). გადაღებულია სტუდენტობის დროს.



პოდ. პეტრე ქარუმიძე (დაჭრილია). მოსკოვის ზუბალაშვილის სახელ. გოსპიტალში სწევს.

# გაწყვეტილი სიმი

დრამა ოთხ მოქმედებ`დ.

(შემდეგი *)

## მოქმედება მესამე.

ვახტანგის სამუშაო ოთახია. მაგიდაზე წიგნები აწყვია—ზოგი გაშლილი, ზოგი დაკეცილი. საზოგადოდ ოთახი ლამაზად არის მოწყობილი. კუთხეში სდგას ტახტი, მუთაქებითა და ბალიშებით. მაგიდასთან ახლო წიგნების შკაფი სდგას. დილაა.

მაგიდასთან ვახტანაი ზის და მუშაობს. იქვე, ახლო, მაგიდაზე დაყრდნობილი სდგას ნუცა და დაფიქრებული ძმას შესცქერის.

**ვახტანგი.** (სწერს და თან ნუცას ელაპარაკება) ასე, ჩემო ნუცა! ეხლა ხომ გაიგე, რაც მინდოდა მეთქვა? აბა, თვალებში შემომხედე! (წერას თავს დაანებებს, ნუცას ნიკაპს დაუჭერს და თავს აუწევს) აბა შემომხედე!

**ნუცა.** რატომაც არ შემოგხედავ! მე არა მრცხვენიან!

**ვახტანგი.** შენ ეგ მითხარი, მართალს გეუბნებოდი თუ არა? გული ფანცქალს დაგიწყებს ხოლმე, განა? თითქოს საგულედან გადმოვარდნას აპირებსო.

**ნუცა.** მე მარტო შენ მიყვარხარ, სხვა არავინ მიყვარს.

**ვახტანგი.** ელიზბარი?

**ნუცა.** ის იმიტომ მიყვარს, რომ ყურს მიგდებს, როდესაც ვიოლინზე ვუკრავ. ყვავილების საკრეფადაც ერთად დავდივართ. იმ დღესაც ერთად წავედით. იცი, ძამიავ, სულ დამცინის.

**ვახტანგი.** კი არ დაგცინის, გეხუმრება.

**ნუცა.** (გაკვირვებული) სადაური ხუმრობაა! მე ველაპარაკები იმაზე, რომ ეხლა დიდი ქალი ვარ, რომ უცხოეთში წავალ კონსერვატორიაში სასწავლებლად; ისე კარგად ვისწავლი, ქვეყანას გავაკვირვებ-მეთქი. ის კი იცინის და მეუბნება, ნუცა, თუ გინდათ ერთს ზღაპარს გიამბობთო.

(ვახტანგს ღიმილი მოადგება ტუჩებზე).

აი, შენც იცინი. (ნაწყენი) თქვენ სულ ეგრე იცით. თქვენა გგონიათ, პატარა ვარ? მე ყველაფერი მესმის, ყველაფერი ძალიან კარგად მესმის. ისიც ვიცი, ეხლა რად გაიცინე, მაგრამ არ გეტყვი.

**ვახტანგი.** კარგი ზღაპრები იცის ელიზბარმა?

**ნუცა.** ზღაპრები? კარგი ზღაპრები იცის. ერთი ზღაპარი მიამბო. ისეთი მშვენიერი იყო! ერთს მიუვალს, მაგრამ მშვენიერს ადგილას აღმართული იყო ბროლის კოშკი. შიგ მზეთუნახავი სცხოვრობდა... არა, მე ვერ გიამბობ. თითონ ელიზბარმა გიამბოს, იმან კარგად იცის.

(ვახტანგს კვლავ ღიმილი მოადგება ტუჩებზე).

**ვახტანგი.** რასაკვირველია! იმას ხმაც სულ სხვანაირი აქვს. როდესაც ლაპარაკობს, ადამიანს ჟრუანტელი უვლის ტანში. გინდა სულ ილაპარაკოს და ილაპარაკოს. ასე გგონია, მთელი თვე ასე რომ ილაპარაკოს, არ მომწყინდებაო. მართალი არ არის?

**ნუცა.** (თვალებ გაბრწყინვებული) შენ საიდანღა იცი? შენთვის ხომ ზღაპრები არ უამბნია?

**ვახტანგი.** ვიცი. მე ბევრი რამ სხვაც ვიცი. ვიცი, მაგალითად, რომ თუმცა ხანდისხან გაჯავრებს, მაგრამ მაინც სხვასა სჯობიან. სულ სხვანაირია, სხვებს არა ჰგავს. სხვებზე კარგად იცინის, სხვებზე კარგადა ჰკრეფავს ყვავილებს, სხვებზე კარგად დადის, ერთის სიტყვით, ის სულ სხვანაირია და სხვები კი სხვანაირები არიან. მართალს არ ვამბობ?

**ნუცა.** მართალია, მართალია! მერე, მერე?

**ვახტანგი.** (გაკვირვებული) მერე რა?

**ნუცა.** კიდევ რა? კიდევ რა?

**ვახტანგი.** სხვა აღარაფერი.

**ნუცა.** (უკმაყოფილოდ) მე მეგონა კიდევ რამეს იტყვის-მეთქი.

**ვახტანგი.** (თითქოს ეხლა მოაგონდაო) ჰო, აი კიდევ რა! თვალებში რაღაც უცნაური ძალა აქვს. როდესაც გიცქერის, თითქოს მისი თვალები შიგ გულში იხედებიანო. შენ თვალს აშორებ, სხვა მხარეს იცქირები, მაგრამ მაინცა ჰგრძნობ, ელიზბარის თვალი არა გშორდება, და გესიამოვნება. მართალს ვამბობ თუ არა? (ნუცა თანხმობის ნიშნად თავს უქნევს). ასე რომ ჩემს პატარა ნუცას ელიზბარი უყვარს.

**ნუცა.** მართალია, მიყვარს. მაგრამ შენ უფრო ძალიან მიყვარხარ. ხანდისხან, სეირნობასა და თამაშობაში გართული, ერთბაშადა ვღონდები: შენ მომაგონდები ხოლმე და იმიტომა. თუ ძალიან მხიარულადა ვარ, ვიცინი და ერთბაშად შენ მომაგონდი, შემრცხვება ხოლმე.

(ვახტანგი გაშტერებული უცქერის თვალებში ნუცას; მერე მის თავს მიიზიდავს ორივე ხელით და შუბლში აკოცებს).

შენ ხომ არ გეწყინება, ელიზბარიც რომ მიყვარდეს?

**ვახტანგი.** რათა, ჩემო კარგო, რათა?

**ნუცა.** (ყოყმანობს, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ვერა ჰბედავსო. მერე ერთბაშად) ელენეს კი არ უყვარს ელიზბარი.

(ვახტანგი შეკრთება, გაწითლდება და თავს ჩაჰღუნავს).

ელიზბარს უყვარს ელენე, ელენეს კი არ უყვარს ელიზბარი. ელენეს შენ უყვარხარ.

**ვახტანგი.** (შემკრთალი) კარგი ნუცა, ნუღარ ლაპარაკობ მაგაზე.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 23



შტ.-კაპ. ალექსანდრე ჯავახია (მოკლულია).



პოდპ. ილარიონ ჯობავა (დაჭრილია).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯარის-კაცი ვანო თავაძე (დაჭრილია).



ჯარის-კაცი ხარიტონ მახარაძე (დაჭრილია).

**ნუცა.** რატომ არ უნდა ვილაპარაკო? მე ყოველთვის მართალს ვამბობ. მგონია (კეკლუცი სიცილით) ჩემს ძამიასაც უყვარს ელენე! ერთი მითხარი, რად არის ასე უცნაურად მოწყობილი საქმე? მე ელიზბარი მიყვარს, ელიზბარს ელენე, ელენეს კი—შენ.

**ვახტანგი.** რა უყოთ, ჩემო კარგო! ბევრი რამ არის ქვეყანაზე უცნაური და გამოუცნობელი. შენ ეგ მითხარი, შენ თითონ ხომ კმაყოფილი ხარ?

**ნუცა.** რატომაც არ ვიქნები კმაყოფილი! აი, ელიზბარიც დამპირდა, მალე მოვალ და ყვავილების დასაკრეფად ერთად წავიდეთო. აი იქ, ქვეითა მხარეს, ისეთი კარგი ყვავილებია! თაიგულს გავაკეთებ და მოგიტან. ან არა და, შენც წამოდი ჩვენთან. სულ ხომ არ უნდა სწერო? ცოტა გაისეირნე, ჰაერი ჩაყლაპე და ისევ იმუშავე.

**ვახტანგი.** არა, გენაცვალე, მე მხოლოდ დაგიშლით. თქვენ ახალგაზდები ხართ, ჯან-საღები, მე კი ავად-მყოფი. კარგია ყვავილები, მაგრამ დიდხან სიარული არ შემიძლიან. დავიღლები და ხველა ამიტყდება. მე კი აი (რვეულზე უჩვენებს) მეოთხე თავი დასაწერი მაქვს. ხომ იცი, ჩემო პატარა, მე ეხლა მხოლოდ ამისთვის ღა ვსცხოვრობ!

**ნუცა.** (უცბად შეკრთება, თითქოს რაღაცა მოაგონდაო) მართალია, მართალია! არც ღირს წამოსვლა. შენა გგონია, მართლა კარგი ყვავილებია? სულ დამჭკნარია. ისეთი ცუდი სანახავია, ვერც კი წარმოიდგენ. მეც იმიტომ დავდივარ ბაღში, რომ სხვა არაფერი საქმე არა მაქვს. სულ ხომ ვიოლინზე არ უნდა ვუკრა!

**ვახტანგი.** (ჩააშტერდება თვალებში ნუცას, ნაზად მიიზიდავს იმის თავს და შუბლში აკოცებს) შენ რომ არა მყავდე, სწორედ გავგიჟდებოდი.

(შემოდის ელიზბარი).

აი, ელიზბარიც მოვიდა.

**ნუცა.** (ოდნავ შეჰყვირებს, მაგრამ მალე თავს შეიმაგრებს. გაწითლდება). მობრძანდით.

**ვახტანგი.** (მიესალმება) ეს არის ეხლა შენზე ვლაპარაკობდით. ნუცა ამბობს...

**ნუცა.** (უფრო გაწითლდება. სიტყვას გააწყვეტინებს) ვახტანგ, შენი ჭირიმე'..

**ვახტანგი.** (ღიმილით) კარგი, არ ვეტყვი.

**ელიზბარი.** (ღიმილითვე) არ მეტყვით, მაგრამ უკვე ვიცი, რაც უნდა გეთქვათ.

**ვახტანგი.** რა თქმა უნდა! ზოგჯერ დუმილი სიტყვაზე მჭერმეტყველია. დაბრძანდით.

**ელიზბარი.** (დაჯდება) სხვა, როგორა ბრძანდებით? ეხლა უფრო კარგს ფერზე გამოიყურებით.

**ვახტანგი.** მართალია. ალბად იმიტომ თუ, რომ ეხლა უფრო დამშვიდებული ვარ. მუშაობაში ვარ გართული. წიგნმა ჩამითრია, მთელი ჩემი არსება მან დაიპყრო. არარავითარი ინტერესი არ არსებობს ჩემთვის, გარდა ამ წიგნისა (ფურცლებს გადაშლის). მეოთხე თავსა ვსწერ. მეოთხე თავი ჩემი თხზულების უმთავრესი ნაწილია. როგორც დრამაში ერთს რომელიმე მოქმედებაში დრამატიზმი განვითარების უმაღლეს წერტილამდე ადის, ისე ჩემი თხზულების მეოთხე თავშიაც უმთავრესი აზრებია განვითარებული. (აღფრთოვანებული) მე დარწმუნებული ვარ, მალე წიგნს დავასრულებ და ახალს, სრულიად ახალს სიტყვას ვეტყვი კაცობრიობას. იგი უკვდავ ჰყოფს ჩემს სახელს და მაშინ მაინც... (შეჩერდება).

**ელიზბარი.** სთქვით, ნუ გერიდებათ. სულითა და გულით გავიზიარებ თქვენს მხიარულებასაც და მწუხარებასაც.

**ვახტანგი.** (დიდ-ხანს თვალებში ჩააშტერდება) ექიმი ხომ არ გინახავთ?

**ელიზბარი.** როგორ არა. დღესაცა ვნახე. თქვენთან აპირებდა შემოსვლას. განა, არ მოსულა?

**ვახტანგი.** არა, არ მოსულა.

**ელიზბარი.** მაშ, უსათუოდ შემოივლის.

**ვახტანგი.** (ჩაფიქრდება და შემდეგ) ექიმი ჭკვიანი კაცია, კარგი ადამიანიცაა. არ მეგონა, თუ ჩვენი ქვეყნის ასეთ მიყრუებულ ადგილას ექიმისთანა ჭკვიანი ადამიანები იქნებოდნენ. (უცბად ნუცას მიუახლოვდება). შენ ოღას გაჩერებულხარ, ჩემო ნუცა?

**ნუცა.** ყურს გიგდებთ. მიყვარს, როცა შენ ლაპარაკობ. შენ სხვებსავით არ ლაპარაკობ. ხომ არ გამიჯავრდები, ძამიავ, ერთი რამ რომ გითხრა?

**ვახტანგი.** (ნაზად) განა არ იცი, ჩემო ნუცა, ეხლა აღარა ვჯავრობ?

**ნუცა** მაშ, აბა ყური კარგად დამიგდე. სხვები რომ ლაპარაკობენ, ასე მგონია ფიქრი არ ეძნელებათ მეთქი. იფიქრებენ და მაშინვე იტყვიან თავიანთ ნაფიქრს. შენ კი ბევრსა ფიქრობ და მერე ძლივს ძლივს ერთს სიტყვას იტყვი ხოლმე. თანაც თითქოს გეშინიან, ჩემს გულში არავინ ჩაიხედოს და არავინ გაიგოს, რასა ფიქრობსო. შენ განა წინადაც ეგეთი იყავი?

**ვახტანგი.** რა ვიყავი წინად, აღარ მახსოვს; ეხლა კი რაცა ვარ, მგონია, შენ თითონ უფრო კარგად იცი, ჩემო ნუცა, თუმცა ჯერ სულ ბავშვი ხარ. მაგრამ მოდი ეხლა ამას თავი დავანებოთ. შენ ყველგან სიმხიარულე შეგაქვს და მეც გამამხიარულე. ამიტომ თქვენთან ერთად სასეირნოდ მეც წამოვალ. შენ წადი ეხლა, ნუცა, მოამზადე ყველაფერი და ჩვენც ეხლავე მოვალთ.

**ნუცა.** მართლა წამოხვალ? არ მომატყუებ?

**ვახტანგი.** უსათუოდ წამოვალ. მე და ელიზბარი ერთად წამოვალთ. დედასაც უთხარი, ისე არ წახვიდე.

**ნუცა.** (გამხიარულებული) აი ეხლა კარგი ხარ, ძამიავ! ეგრე არა სჯობიან!

**ვახტანგი.** მაშ, ელიზბარიც წამოვიყვანო?

**ნუცა.** (ცოტა ხანს შეჩერდება და მერე ერთბაშად). უსათუოდ! (ხელი-ხელს შემოჰკრავს, .შემოტრიალდება და ხტუნაობით გარედ გავარდება).

**ვახტანგი.** (ელიზბარს) ნუცას გაუფრთხილდით, გაუფრთხილდით ამ უცნაურს ბავშვს. იგი ჯერედ ნორჩია, გაუშლელი ყვავილივით, მაგრამ ვულკანისებურ გრძნობას ატარებს თავის პატარა გულში. რა უცნაური და ძლიერია მისი სულის მოძრაობა! ელიზბარ! ნუცას გაუფრთხილდით, გავუფრთხილდით ამ უცნაურს ბავშვს. ეხლა კი წავიდეთ, წავიდეთ, თორემ ნუცას ლოდინით გული გადაელევა.

**ელიზბარი.** გაფრთხილებით გავუფრთხილდები, თუ მანდობთ იმის თავს.

**ვახტანგი.** (მომავალი) თქვენ სანდო ხართ.

**ელიზბარი.** (გრძნობით ხელს ჩამოართმევს) მადლობელი ვარ თანაგრძნობისა და ნდობისათვის.

(გადიან).

(პაუზა. ისმის ზარის ხმა. ვახტანგის სამუშაო ოთახით გაივლის **ძიძა**- ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვა. უკან მოჰყვებიან **ელენე** და **ექიმი**).

**ძიძა.** აი აქ მოითმინეთ ცოტა ხანს. ეს არის ეხლა წავიდნენ და შევატყობინებ. დაბრძანდით, ბატონო, ვახტანგი ეხლავე გეახლებათ.

**ელენე.** გმადლობთ, ძიძა!

**ექიმი.** არა უშავს რა, ნუ სწუხდებით.

(ძიძა სკამს მიაწოდებს ელენეს, ცოტას მიტრიალდ-მოტრიალდება და გავა).

(პაუზა).

**ექიმი.** (სათვალეებს გაისწორებს და თვალებში ჩააშტერდება ელენეს. ელენეც თვალს გაუსწორებს) ქალბატონო ელენე! ჯერ კიდევ დრო გაქვთ! მოიფიქრეთ და თქვენს განზრახვაზე უარი სთქვით.

**ელენე.** (ამაყად და ცოტა არ იყოს თავხედურადაც). ეგ ჩემი სიკვდილი იქნებოდა, მე კი არა მსურს სიკვდილი.

**ექიმი.** და ამიტომ თქვენ სხვის სიკვდილს ამჯობინებთ.

**ელენე.** (ბოროტად) ეგ თქვენ მიერ მოგონილი ზღაპრებია, ბატონო ექიმო! თქვენ თითონაც არა გჯერათ, რასაც ამბობთ.

**ექიმი.** ჯერ ერთი, მართალს არ ამბობთ. მე მჯერა. მრწამს, რომ ვახტანგი სასარგებლო წიგნს დასწერს და ამით თავის წვლილს შეიტანს კაცობრიობის აზროვნების სალაროში. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, თქვენ უფლება არა გაქვთ გაუქარწყლოთ ილიუზია, რომელმაც მას ზნეობრივი კმაყოფილება მიანიჭა და ცხოვრებასთან შეაერ-



**გერმანელებ ს კრეისერ ,,ემდენის‘‘ მიერ დალუპული კრეისერი ,,ჟემჩუგი‘‘ (გადაღებულია კრეისერ ,,ოლეგის‘‘ შენგრეულ გვერდიდან ,,ცუსიმას‘‘ ბრძოლის შემდეგ).**

თა. თქვენ ხომ ძალიან კარგად ჰხედავთ, რაოდენი ცვლილება მოჰხდა ვახტანგის სულიერ განწყობილებაში მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მისი წიგნი შესანიშნავ მოვლენად უნდა იქცეს? ხომ ძალიან კარგად ჰხედავთ, რანაირის ალტაცებით შრომობს და რა დიდს რწმენასა და იმედს აწნავს თავის ნაშრომს? იგი მხოლოდ ამ შრომაში ღა ჰხედავს ცხოვრების მიზანს. თქვენ გინდათ ეს უკანასკნელი იმედიც გაუქარწყლოთ; თქვენ გინდათ დაუმსხვრიოთ უკანასკნელი რწმენა, რომელსაც ასე თავგამოდებით ებღაუჭება სასიკვდილოდ გამზადებული ადამიანი.

(ელენე უკანასკნელი სიტყვების დროს შეკრთება).

დიახ, დიახ! თქვენთვის საიდუმლო აღარ უნდა იყოს, რომ ვახტანგი სასიკვდილოდ გამზადებული ადამიანია.

**ელენე.** (ცოტა ხანს გაჩუმებულია. ღრმა მწუხარება აღებეჭდება სახეზე. მაგრამ მალე გულიდან გადაიყრის ამ მწუხარებას და ამაყად შეჰხედავს ექიმს) მე კი მგონია, ბატონო ექიმო, ერთი წუთი განცდათა, რომელსაც აზის ღრმა ბეჭედი სინამდვილისა, უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი სიცოცხლე, გატარებული ილიუზიასა და თავის მოტყუებაში. რამდენი ხანია ამ წუთს ველი. რამდენი ხანია ველი ამ სადღესასწაულო მომენტს. მისთვის ვემზადებოდი, იგი შეადგენდა ჩემი ოცნების, ქალწულის ლამაზი ოცნების საგანს. დადგა ეს წამიც და აი, თქვენ გინდათ იგი დავმარხო. გესმით, ბატონო ექიმო, რასა თხოულობთ ჩემგან? თქვენ გინდათ ცოცხლადვე დავმარხო ჩემი თავი, დავმარხო ჩემი სული, მთელი ჩემი არსება. თქვენ გინდათ დავმარხო ჩემი ტკბილი ოცნება. არასოდეს, არასოდეს!

**ექიმი.** გათვალისწინებული გაქვთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს თქვენს განზრახვას? წუთი და მარადისობა ებრძვის ერთმანეთს. მრწამს, თქვენ შეგიძლიანთ სრულჰყოთ ეს წუთი, მაგრამ სამაგიეროდ მოჰკლავთ მარადისობას.

**ელენე.** ფასი მხოლოდ წუთსა აქვს, მარადისობა ადამიანის ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფია.

**ექიმი.** მაგრამ თუ ადამიანს ეს წუთიც დაეკარგა, მაშინ რაღა დარჩენია იმის მეტი, რომ მარადისობა არ ეძიოს?

**ელენე.** (აღშფოთებული). ეგ ტყუილია, საშინელი სიცრუეა, რომელშიაც განზრახ გაახვიეთ ვახტანგის გონება. მე აუხელ თვალებს, დავანახვებ, რომ იგი მსხვერპლია სიცრუისა. ვაგრძნობინებ, რა საშინელებასაც უმზადებს იგი თავის თავს. ვეტყვი და ისიც ერთბაშად მოიგლეჯს ამ მოჯადოებულ სიცრუის ქსელს, ვეტყვი და იგი კვლავ აღსდგება სიცოცხლისთვის, კვლავ აღსდგება წუთის დასაპყრობად. თქვენ მოშხამეთ მისი ლამაზი სიცოცხლე.

**ექიმი.** სცდებით, ქალბატონო ელენე, ძალიან სცდებით! მე მხოლოდ ის ნაპერწკალი ვარ, რომელიც თოფის წამალს აფეთქებს. ძალა თვით თოფის წამალშია. მე რომ არ ვყოფილიყავი, სხვა იქნებოდა. გარდა ამისა, ძალიანა სცდებით, როდესაც ამბობთ, ვახტანგმა ილიუზია შექმნაო. ის, რასაც ამჟამად ვახტანგი განიცდის, ილიუზია არ არის. იგი ისეთივე რეალობაა, როგორც მთელი ჩვენი წუთიერი სიცოცხლე. თქვენ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გაქვთ ახლად შექმნილი, მთლიანი შინაარსი ცხოვრებისა დაურღვიოთ და კვლავ დაუსადგუროთ გულში ეჭვი, რომელიც სიკვდილს უდრის.

**ელენე.** პირიქით, სიკვდილს თქვენ უმზადებთ. გინდათ სიცოცხლეშივე ჩაჰკლათ მასში ყოველივე გამოხატულება სიცოცხლისა და დასტოვოთ მექანიკურად მოაზროვნე ადამიანი. თქვენ გინდათ ჩაჰკლათ მასში გრძნობა, ნების ყოფა, ჩაჰკლათ ის, რაც პირუტყვს ადამიანადა ჰხდის. ო, ო, მაშინ რა თქმა უნდა, იგი ბედნიერი იქნება. აღუშფოთებლად, უგრძნობლად, პასიურად მიუახლოვდება თავის აღსასრულს და ერთხელაც არ გაიფრთხიალებს მისი გული იმ სიშინელების წინაშე, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან. ეს პასივობა, ეს უგრძნობლობა თქვენთვის იდეალია, ჩემთვის კი—საშინელი ბოროტება.

**ექიმი.** (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) არა, ქალბატონო ელენე, თქვენ ვახტანგი არ გიყვართ.

**ელენე.** (ერთბაშად სახე შეეცვლება. მედიდური რამ გამომეტყველება აღებეჭდება სახეზე). მართალია, არ მიყვარს და არცა მსურს მიყვარდეს იმ სიყვარულით, რომლითაც ჩვეულებრივ მომაკვდავთ უყვართ. მაგრამ ერთს კი გეტყვით. ჩემმა გრძნობამ, რომელმაც ოცნება და სინამდვილე შეაკავშირა, ერთარსებად აქცია ორი ადამიანი. თქვენ გინდათ ნაწილი ჩემი არსებისა მომგლიჯოთ, თქვენ გინდათ ჩემი სრულყოფა დაარღვიოთ? ო, ძალიან დიდი ტვირთი გიკისრიათ, ბატონო ექიმო! იქნება გულწრფელიც იყოს თქვენი განზრახვა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ უბრძოლველად არ დაგმორჩილდებით.

(გარედან ფეხის ხმა ისმის).

**ექიმი.** (შემკრთალი) ყოველ შემთხვევაში უმორჩილესადა გთხოვთ, ავადმყოფს ძალიან ნუ აღაშფოთებთ, გირჩევთ ამას, როგორც ექიმი. ეხლა კი წავალ. საუბარს არ დაგიშლით. (ექიმი საჩქაროდ გადის. ელენე თვალს გააყოლებს; მერე ვახტანგის საწერ მაგიდასთან მივა და გადაშლის დიდს საწერ რვეულს. სწორედ ამ დროს შემოდის ვახტანგი, რომელიც ცოტა ხანს კარებში გაჩერდება და მერე დინჯად ელენეს მიუახლოვდება. ელენე ჰგრძნობს მის მოახლოვებას, სახეზე სიფითრე გადაჰკრავს, რვეულს დაჰკეცავს და თვალებს დაჰხუჭავს).

**ვახტანგი.** (ორ ნაბიჯს კიდევ გადადგამს და გაჩერდება) ელენე!

**ელენე.** (ერთბაშად მობრუნდება. მაგიდას დაეყრდნობა და ვახტანგს თვალებში ჩააცქერდება).

(პაუზა).

**ვახტანგი.** ელენე! შენ ისეთივე მშვენიერი და მომაჯადოვებელი ყოფილხარ.

**ელენე.** შენ?

**ვახტანგი.** მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავი.

**ელენე.** კმაყოფილი ხარ?

**ვახტანგი.** კმაყოფილი ვარ.

**ელენე.** არავითარი სინანული არა ჰღრღნის შენს გულს?

**ვახტანგი.** არა.

(პაუზა).

**ელენე.** მაშ, მე მეტი ვყოფილვარ. ამ ოთახში გამეფებულ მყუდროებას აღარ დავარღვევ. (წასასვლელად მოემზადება).

**ვახტანგი.** მომისმინე, ელენე! არც ისეთი ადვილი იყო ჩვენი შეხვედრა, რომ უსიტყვოდ განვშორდეთ ერთმანეთს. მომისმინე!

**ელენე.** რიღასთვის? დამსხვრეულ სრულყოფას ველარაფერი აღადგენს.

**ვახტანგი.** შენ ხომ ძალიან კარგად იცი, ავადა ვარ.

**ელენე.** ექიმი სტყუის.

**ვახტანგი.** (თვალებში გაუშუქებს მკრთალი ნაპერწკალი კმაყოფილებისა) მე თვითონ ვგრძნობ.

**ელენე.** შენ ჰბოდავ.

**ვახტანგი.** იგი ბოდვაა ავად-მყოფისა.

**ელენე.** სულის ავად-მყოფობისა.

**ვახტანგი.** (აღელვებული) ნუ თუ ვერა ჰხედავ იმას, რასაც ყველა კარგად ჰხედავს?

**ელენე.** სამაგიეროდ მე ვხედავ იმასაც, რასაც სხვები ვერა ჰხედავენ.

**ვახტანგი.** რას?

**ელენე** რომ შენ ჩემი იქნები.

**ვახტანგი.** (აღელვებული) ეგ შეუძლებელია, შეუძლებელია.

**ელენე.** ამბობ, შეუძლებელიაო, მაგრამ გული კი სხვას გეუბნება. ცოტა კიდევ—და ძალა შენი წინააღმდეგობისა დადნება, როგორც შარშანდელი თოვლი.

**ვახტანგი.** იგი ჩემი აღსასრული იქნება.

**ელენე.** არა, იგი იქნება დასაწყისი შენი სიცოცხლისა.

**ვახტანგი.** რომელიც უკვე წარსულს ეკუთვნის.

**ელენე** და რომელიც უნდა აღსდგეს განახლებულის სიძლიერით.

**ვახტანგი.** (თითქოს თავისათვის ელაპარაკებაო) ეს მაშინ მოჰხდა, როდესაც ჩემს სხეულში ავად-მყოფობის შხამი არ იყო მოდებული. მაშინ თვითოეული ნაკვთი ჩემის სხეულისა სიცოცხლითა ჰფეთქავდა. განვლო ჟამმა და დასუსტდა იგი. საშინელი წუთები გამოვიარე, ელენე, საშინელი. მეშინოდა სიკვდილისა, რომელიც დღითიდღე მიახლოვდებოდა. მარტო ვიყავი. არავის ვეკარებოდი. როგორც მშიშარა პირუტყვი, სინამდვილეს ვემალებოდი. მეშინოდა ჩემს ნაცნობებში უცაბედად არ ამომეკითხა თანაგრძნობა. თანაგრძნობისა ყოველთვის მეშინოდა, მეშინოდა თვით სიკვდილზე უარესად. საშინელი იყო განსაკუთრებით ის წუთი როდესაც სიცხეს მაძლევდარ. ვიწექი დ ერთავად იმას ვფიქრობდი, თუ როგორ იშლებოდა, ირღვევოდა უჯრედები ჩემი ფილტვებისა. ხშირად, გავარვარებული სიცხის დროს წარმომიდგებოდა თვალ-წინ ფილტვის უჯრედი, რომელიც ნელ ნელა იზრდებოდა და იზრდებოდა. დაჰხვეოდნენ რაღაც უცნაური, საზიზღარი მატლები, რომლებიც ჰგლეჯდნენ და სწიწკნიდნენ ყოველის მხრიდან. სუნთქვა შემეკვროდა და ბნედიანივით წამოვიჭრებოდი ხოლმე. ასეთი იყო დრო ჩემი სიგიჟისა.

**ელენე.** მართალია, იგი სიგიჟის დრო ყოფილა. მაგრამ მაშინდელი სიგიჟე სჯობდა ეხლანდელ მორჩილებით სავსე კმაყოფილებას. ვახტანგ! მაშინდელი გრძნობათა ქარიშხალი ხომ ბრძოლა იყო სიცოცხლისა სიკვდილთან? შეუდრეკელი, ურჩი ნებისყოფა ებრძოდა სულის ბორკილს, ავადმყოფ სხეულს...

**ვახტანგი** (სიტყვას გააწყვეტინებს) ვგრძნობდი, სხეულთან ერთად როგორ ირღვეოდა ჩემი სულიც. ყოველი დარღვეული უჯრედი იყო დარღვეული ნაწილი ჩემი სულისა, ჩემი გრძნობისა და ნებისყოფისა. სწორედ მაშინ, როდესაც საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სხეულს სამარეში მიაქვს ჩემი სულიც, ულრმეს სასოწარკვეთილებას მივეცი. ელენე! ჯან-საღ ადამიანს ვერცკი შეუძლიან წარმოიდგინოს, რაოდენ ტანჯვას განიცდის ადამიანი, რომელმაც იცის, რომ ბედისწერას მისთვის ნაადრევი სიკვდილი მიუსჯია. ვკვდებოდი, ირღვეოდა სხეული და მე კი უძლური ვიყავი შემეჩერებინა ეს საბედისწერო რღვევა სხეულისა. დაჰკრავდა საათი და მეც მივეცემოდი უსაზღვრ . **არარაობას.** გონება ვერ ურიგდება ამ სამარცხვინო დასასრულს, გრძნობა ეურჩება ამ საზარელ ბოლოს, მაგრამ ნებისყოფა უძლურად გაჩერებულა ამ უცნაური ამოცანის წინაშე.

**ელენე** მერე? მერე? სთქვი ჩქარა! გადაფურცლე ზღაპრული ისტორია შენი სულისა!

**ვახტანგი.** განვლო დრომ. გავყუჩდი. ველოდი აღსასრულს. მწარე იყო იგი ლოდინი. უცბად განგებამ გონება განმინათლდა. ყოველივე ისე ერთბაშად და მოულოდნელად მოჰხდა, რომ დღემდისაც ვერ გამოვრკვეულვარ. ავად ვიყავი. სიცხე მქონდა. ბურანში ვიყავი წასული. ერთბაშად სასწაული მოხდა. ვხედავდი, ნელ-ნელა ხორცი სულსა შორდებოდა. დადგა წუთი, როდესაც ჩემს საკუთარ სხეულს ველარა ვგრძნობდი. მერე მეუბნებოდნენ, გული შეგიწუხდაო. მართალი არ არის. გული რომ შემწუხებოდა, გონებაც უნდა დამკარგოდა. მე კი გონება არ დ მკარგვია. პირ-იქით, აზრი უფრო ძლიერად მუშაობდა. აი, სწორედ ამ უშვენიერეს ექსტაზის დროს, რომელსაც რაღაც წარმოუდგენელი მიზეზებისა გამო ბოდვას ეძახიან, გონება განმინათლდა და ვიგრძენი, რომ წუთი არაფერია, მარადისობა—ყველაფერი.

**ელენე.** დადგა დრო შენი აღსასრულისა.

**ვახტანგი.** არა, დადგა დრო ჩემი უკვდავებისა. დღემდის სხეულს ვემსახურებოდი. სხეულის დარღვევასთან ერთად მეც უნდა მომკვდარიყავი. მე კი მარადისობა მინდა, უკვდავება. აი ამან უნდა უკვდავ ჰყოს ჩემი სახელი (რვეულზე უჩვენებს) ამან უნდა დამაკავშიროს მარადისობასთან. აქ არის მოგროვილი მთელი ჩემი არსება! გრძნობა, გონება, ნებისყოფა. იგი სამარადისოდ გახდის ჩემს სახელს და თავიდან ავიცდენ სამარცხვინო სიკვდილს. ჩემი პიროვნება არ გაჰქრება. დაიშლება სხეული, მაგრამ ის, რაც ერთს პიროვნებას მეორისაგან განარჩევს, ის, რაც პიროვნებას შეადგენს, ამ წიგნის წყალობით, შთამომავლობას გადაეცემა და ჩემს სახელს სიკვდილისაგან დაიხსნის. (აღტაცებული, დიდებული, თვალწარმტაცი სურათია! ყოველი წუთი თან ატარებს სიცოცხლესაც, სიკვდილსაც. ერთის მხრით იგი მიახლოვებს სიკვდილთან, მეორეს მხრით მარადისობასთან. როდესაც დაჰკრავს ზარი, მოვა ის, რასაც თქვენ სიკვდილს ეძახით, და გაჰყრის სულსა და სხეულს, პირველი სამარადისო ყოფნაში ჰპოვებს ბინას, მეორე კი — სამარადისო არ ყოფნაში.

**ელენე.** სწორედ იგიც იქნება შენი სიკვდილი. უბედურო ადამიანო! შენ სიკვდილს ეალერსები! არა, მართალს არ ვამბობ! შენ გინდა მოკვდე იმაზე ადრე, ვიორე ბედით გიწერია. გეშინიან სიკვდილისა და თვალებსა ჰხუჭავ, ჰქმნი რაღაც ფანტასტიურ კოშკს მარადისობისას, რომელიც არ არსებობს. შენი მარადისობა, შენი წიგნი, რომელმაც უნდა უკვდავჰყოს შენი სახელი, საპნის ბურთია; იგი შენთან ერთად გაჰქრება და არ ყოფნა მოიცავს მას ისევე, როგორც შენს დასნეულებულ სხეულს...

**ვახტანგი.** (შემკრთალი) ელენე!

**ელენე** სულის სისუსტით დასნეულებულს სხეულს.

**ვახტანგი.** ელენე!

**ელენე.** დაე იყოს ნება შენი! განგშორდები, რახან საჭირო აღარა ვყოფილვარ. მაგრამ იცოდე კი, ტყუილად იტანჯები. შენ განგებამ ჩემთვის განგამზადა და ვერავითარ ძალ-ღონეს ვერ შეუძლიან მისი ბრძნული გარდაწყვეტილების შეცვლა. განგშორდები, რახან საჭირო აღარა ვყოფილვარ. მაგრამ იცოდე კი უჩემოდ ერთს წუთსაც ვერ გასძლებ. შენ დიდი ხანია მოექციე იმ მოჯადოებულ წრეში, რომლიდანაც ძნელად აღწევს თავს ადამიანი.

(უცბად სარკასტიულად გადიხარხარებს).

უკვდავება! მაშ, ეგრე! იბრძვი უკვდავებისთვის და ჰკლავ სიცოცხლეს. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! (წასვლას დააპირებს).

**ვახტანგი.** ელენე! ჩვენ ასე ვერ დავშორდებით ერთმანეთს! ხომ ძალიან კარგად იცი, რა ძვირფასი ხარ ჩემთვის?

**ელენე.** (თვალებში ჩააშტერდება. პაუზის შემდეგ) მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (წასვლას დააპირებს).

**ვახტანგი** (ხელს გაუწოდებს) ელენე! ასე უნუგეშოდ ნუ მსტოვებ!

**ელენე.** (მოულოდნელი თავდაუჭერელი ექსტაზით) მე მხოლოდ ერთი ნუგეში ვიცი. თუ გინდა ღირსი გახდე ამ ნუგეშისა, თუ გინდა შენთვისაც დაიბრუნო და მეც დამიბრუნო უდროოდ დამსხვრეული ბედნიერება; თუ გინდა სრულჰყო წუთი და აქციო იგი სიამოვნების, ბედნიერების დაუშრეტელ წყაროდ, წამოდი იქ, ზევით, ძველთა-ძველ კოშკის ნანგრევებთან, საიდანაც იშლება მშვენიერი სურათი ხეობისა. კოშკი იგი თითქოს ცად არის აღმართულიო. მედიდურად და ამაყად გადმოსცქერის ბარს, ველს, მთელ ხეობას, მდინარეს, რომელიც გველივით მოიკლაკნება და მისი ზვირთებიც მთვარიან ღამეს ვერცხლის ფერად ბრწყინავს. გელი იქ, გელი ბუნების წიაღში, ბუნების შვილს. თუ ბედნიერება გინდა, მოდი ზევით, ძველთა-ძველ კოშკის ნანგრევებთან.

(გადის. პაუზა).

(შემკრთალი ვახტანგი თვალს გააყოლებს ელენეს და მერე კარებს მიაშტერდება. ცოტა ხნის შემდევ ნელა შემოდის ნუცა. შეშინებულია. თვალები გაჰგანიერებია; სახე გადაჰფითრებია. ვახტანგი და ნუცა ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებიან, თითქოს ეშინიანთ, არავინ გაიგონოსო).

**ვახტანგი.** დაბრუნდი კიდეც!

**ნუცა.** აქ ვიდექი.

**ვახტანგი** ყველაფერი გესმოდა?

**ნუცა** ყველაფერი. ელენე ისევ დაბრუნდება?

**ვ ხტანგი.** არ ვიცი. რათა მკითხავ?

**ნუცა.** მეშინიან.

**ვახტანგი.** (აცახცახებული ხელს მოჰხვევს ნუცას, გულთან მოიკრავს) მეც მეშინიან, მეც მეშინიან!

(დასასრული იქნება).

**გარდელი.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**